სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

# ბალანსებში

სექტემბერი №18

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სასაზღვრო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

## გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

gamomceme l i: Sps ~biznes inte l eqti~
**Publisher: Business Intellect Ltd.**

**UDC (uak) 336.2+336.14(051.2)**
**g-145**

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtiku l i e l .Jurna l i
~ gadasaxadebi~

registrirebu l ia #04-06 65, 10.08.2009 / ***Registred*** #04-06 65, 10.08.2009

**Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~**

**mTavari redaqtori:**
**daviT jalaRonia,**
sruli profesori
**Chief Editor:**
**David Jalaghonia,** Full Professor

**pasuxismgebeli mdivani**
marine xubua, asocirebuli profesori
**Executive Secretary:**
Marine Khubua, Associated Professor

**redaqtori:** madona gelaSvili
asocirebuli profesori
**Editor:**
Madona Gelashvili, Associated Professor

**teqnikuri redaqtori:**
naziko gomelauri
**Technical Editor:** Naziko Gomelauri
**koreqtori:** rusiko papaskiri
asocirebuli profesori
**Corrector:**
Rusiko Papaskiri, Associated Professor

**marketolog-konsultanti:**
devi Sonia, asocirebuli profesori
**Marketing Consultant:**
Devi Shonia, Associated professora

**iurist-konsultanti:**
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
**Legal Advisor:**
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
**EDITORIAL BOARD**
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

**ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:**
**Doctors of Economics, Professors:**

| | |
|---|---|
| zaur amilaxvari | Zaur Amilakhvari |
| rezo gvelesiani | Rezo Gvelesiani |
| simon gelaSvili | Simon Gelashvili |
| irma dixaminjia | Irma Dikhaminjia |
| kaxaber eraZe | Kakhaber Eradze |
| SoTa veSapiZe | Shota Veshapidze |
| larisa TakalanZe | Larisa Takalandze |
| zurab lipartia | Zurab Lipartia |
| zaira RuduSauri | Zaira Gudushauri |
| Temur Sengelia | Temur Shengelia |
| mixeil CikviladZe | Mikheil Chikviladze |
| nodar xaduri | Nodar Khaduri |
| elene xarabaZe | Elene Kharabadze |
| rezo xarebava | Rezo Kharebava |
| nanuli ZimceiSvili | Nanuli Dzimceishvili |

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine **"GADASAKHADEBI"**
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: **Sps 'biznes inteleqti~**
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

**ISSN 1987-9156**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# sarCevi / Table of contents

## oficialuri dokumentebi / FFormal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-45

instruqcia / **Instructions** ----------46-54

gadasaxadebi #18, 2019

**GADASAKHADEBI** #18, 2019 E



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს კანონი

## „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა$^{5}$“ და „ა$^{6}$“ ქვეპუნქტები:

„ა$^{5}$) სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებაზე – 50 ლარი;

ა$^{6}$) სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ განცხადებაზე – 150 ლარი;“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 18 სექტემბერი 2019 წ.

N4957-Iს

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს კანონი

## „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი** 1. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13, 02.07.2009, მუხ. 63) მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დაუშვებელია, პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის:

ა) შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ბ) სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოსამსახურე;

გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მას მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს ნასამართლობა;

დ) ან იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.“.

**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 18 სექტემბერი 2019 წ.

N4958-Iს

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

## საქართველოს კანონი

### „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი** 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის $8^1$ პუნქტი:

„$8^1$. აუდიტორს არ აქვს უფლება, შეასრულოს მედიატორის ფუნქცია, თუ იგი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე აუდიტორულ მომსახურებას უწევს/უწევდა მედიაციის მხარეს.“.

**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 18 სექტემბერი 2019 წ.

N4959-Iს

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

## საქართველოს კანონი

### „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი** 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.019086) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულისა და საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლებზე.“.“.

**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 20 სექტემბერი 2019 წ.

N4983-Iს

## საქართველოს კანონი

### „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი** 1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.019087) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29.12.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.018717) პირველი მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^{1}$“ ქვეპუნქტი:



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„გ[1]) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეზე;“.“.

**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 20 სექტემბერი 2019 წ.

N4984-Iს

## საქართველოს კანონი

### „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი** 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მოსწავლეს უნდა მიეწოდოს მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, კომუნიკაციის ხელმისაწვდომი საშუალებებით.“.

**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 20 სექტემბერი 2019 წ.

N5018-Iს

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს კანონი

## „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი** 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 440050000.05.001.019090) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან დათხოვნილ სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან განთავისუფლებულ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს;“.

2. მე-8 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ პირთა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და საგამოძიებო დეპარტამენტიდან და იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ პირთა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან განთავისუფლებულ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა კომპენსაციის გაანგარიშება“;

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან განთავისუფლებულ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირზე, თუ მას აქვს ნამსახურობის არანაკლებ 20 წელი. ნამსახურობაში, გარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ნამსახურობისა, შედის შემდეგ ორგანოებში ნამსახურობა: სამხედრო, შინაგან საქმეთა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და პროკურატურის ორგანოები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და საგამოძიებო დეპარტამენტი, იმავე სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა.“.



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

3. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის მიზნებისათვის მუშაობის 20 წლის სტაჟში ჩაითვლება შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურისა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საგამოძიებო დეპარტამენტში, იმავე სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, 2011 წლის 11 მარტამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, 2011 წლის 11 მარტიდან 2011 წლის 3 ივნისამდე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში სპეციალობით მუშაობა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირად მუშაობა, აგრეთვე ამ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვა ორგანოების შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში სპეციალობით მუშაობა.“.

4. მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მომუშავე სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობაა ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კომპენსაციის 75%, მიუხედავად გარდაცვლილის მიერ ამავე კანონით დადგენილი კომპენსაციის მიღების უფლების მოპოვებისა. ამასთანავე, გარდაცვლილის ნამსახურობის მინიმალური სტაჟი უთანაბრდება 20 წელს. კომპენსაცია ენიშნებათ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და მის შრომისუუნარო მეუღლეს.“.“.

**მუხლი** 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 20 სექტემბერი 2019 წ.

N4985-Iს



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს კანონი

## „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 430080000.05.001.018149) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სააღმზრდელო საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკავშირებულია ბავშვის შემეცნებით, ემოციურ, ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე სისტემურ ზრუნვასთან და სადღეღამისო მომსახურების განხორციელებასთან და რომლის მიზანია ბავშვის პიროვნული, ზნეობრივი, ინტელექტუალური, უნარ-ჩვევებისა და ადაპტაციური ქცევის ჩამოყალიბება, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კოდექსით მოწესრიგებულ ბავშვის მხარდაჭერის სფეროში საქმიანობა;“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 20 სექტემბერი 2019 წ.

**N5020-Iს**

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

## საქართველოს კანონი

### „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 430040000.05.001.018169) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ბავშვისთვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით მიწოდებას.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 20 სექტემბერი 2019 წ.

**N5019-Iს**

## საქართველოს კანონი

### „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 06.06.2005, მუხ. 175) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ[1]“ ქვეპუნქტი:

„ჟ[1]) ბავშვის უფლებათა კოდექსის საფუძველზე ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან ბავშვის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად ინტერნეტქსელით გავრცელებული პროგრამებისა და ინფორმაციის პროგრამირებულ ქსელურ მატარებლებზე (ინტერნეტში) განთავსებული ფილმებისა და თამაშების ასაკობრივი ნიშანდების წესების დაცვის კონტროლი;“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი, 20 სექტემბერი 2019 წ.

**N5022-Iს**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №458

2019 წლის 20 სექტემბერი, ქ. თბილისი

## „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/02/2011, 040030000.10.003.016219) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| „4 | ვეტერინარული სერტიფიცირება: | | |
| | ა) ექსპორტის დროს ვეტერინარული სერტიფიცირება, გარდა ცოცხალი ცხოველების ექსპორტისა | 5 სამუშაო დღე<br>1 სამუშაო დღე<br>შაბათ-კვირა ან უქმე დღე | 50 ლარი<br>100 ლარი<br>200 ლარი |
| | ბ) ცოცხალი ცხოველების ექსპორტის დროს ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემა | 1 დღე | 100 ლარი.“. |

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**გიორგი გახარია**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №459

2019 წლის 20 სექტემბერი, ქ. თბილისი

## არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესი და პირობები“ დანართ №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ნ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასური“ დანართ №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 3**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას დაევალოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული არაფორმალური განათლების აღიარების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა არაუგვიანეს 2020 წლის 1 ივლისისა.

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**გიორგი გახარია**

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**დანართი №1**

**არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესი და პირობები**

**თავი I**

**ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) ადგენს იმ მოთხოვნებსა და პროცედურას, რომლის დაკმაყოფილება და შესრულება აუცილებელია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოსაპოვებლად.

**მუხლი 2. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების მიზანი და შინაარსი**

1. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების მიზანს წარმოადგენს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტების მიერ არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის (შემდგომში – მაძიებელი) ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება და შესაბამისი დოკუმენტის გაცემა.

2. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანოა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

3. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების მიზნით, ცენტრს შეუძლია, მიმართოს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა დაწესებულებამ, მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების აღიარებისთვის, რომლის განხორციელების უფლებაც მას ავტორიზაციის შედეგად აქვს მოპოვებული;

ბ) პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელებაზე უფლებამოსილმა იურიდიულმა პირმა, მხოლოდ იმ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების აღიარებისთვის, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

## თავი II

## არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესი და მონიტორინგი

**მუხლი 3. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოსაპოვებლად დადგენილი მოთხოვნები**

არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოსაპოვებლად პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელებაზე უფლებამოსილი დაწესებულებები (შემდგომში – დაწესებულება) უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, შემუშავებული უნდა ჰქონდეთ არაფორმალური განათლების აღიარების შიდა მარეგულირებელი წესი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს არაფორმალური განათლების აღიარების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ვადებსა და პროცედურებს;

ბ) შემუშავებული უნდა ჰქონდეთ არაფორმალური განათლების აღიარების, მათ შორის, გასაწევი მომსახურების საფასურის შესახებ მაძიებელთა ინფორმირების მექანიზმები;

გ) უნდა უზრუნველყოფდნენ მაძიებლის კონსულტირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სერტიფიცირებული კონსულტანტის მეშვეობით.

**მუხლი 4. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესი**

1. უფლების მოპოვების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულების მიერ არაფორმალური განათლების აღიარების მართვის ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – ელექტრონული სისტემა) ელექტრონული განაცხადის გაკეთება უფლების მოპოვების მიზნით;

ბ) ცენტრის მიერ ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვა და განაცხადის წარმოებაში მიღება;

გ) ცენტრის მიერ განაცხადის ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, დასკვნის მომზადება და დირექტორისთვის წარდგენა;

დ) გადაწყვეტილების მიღება, ელექტრონულ სისტემაში ასახვა და მისი გამოქვეყნება.

2. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის წარმოებაში მიღებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 5. განაცხადის წარდგენა და განხილვა**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

1. დაწესებულება, რომელსაც სურს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვება, ელექტრონულ განაცხადს აკეთებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის შექმნის, მართვისა და ადმინისტრირების წესი მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარდგინების საფუძველზე.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, შედგენილი განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) დაწესებულების სახელწოდებასა და სამართლებრივ ფორმას;

ბ) დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდს;

გ) დაწესებულების მისამართსა (იურიდიული და ფაქტობრივი) და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელფოსტის მისამართი);

დ) ინფორმაციას სერტიფიცირებული კონსულტანტის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო მონაცემები) შესახებ;

ე) არაფორმალური განათლების აღიარების შიდა მარეგულირებელ წესს;

ვ) ინფორმაციას ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმირების მექანიზმების შესახებ;

ზ) განაცხადს უნდა დაერთოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. შეუსაბამობის შემთხვევაში, ცენტრი განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი, რის შესახებაც ეცნობება დაწესებულებას. ხარვეზის არარსებობის ან ხარვეზისთვის განსაზღვრულ ვადაში მისი გამოსწორების შემთხვევაში, ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის წარმოებაში მიღების შესახებ.

**მუხლი 6. მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და დასკვნის მომზადება**

1. დაწესებულების მიერ წარდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ასევე ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრის შემდეგ ცენტრი ამზადებს დასკვნას.



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

2. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების მიერ წარდგენილი განაცხადი შეესაბამება ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ცენტრი ამზადებს დადებით დასკვნას და წარუდგენს დირექტორს.

3. იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი მოთხოვნა, ცენტრი ამზადებს უარყოფით დასკვნას და წარუდგენს დირექტორს.

**მუხლი 7. გადაწყვეტილების მიღება**

1. ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ან მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით წარდგენილი დასკვნის საფუძველზე, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს:

ა) დაწესებულებისთვის არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ;

ბ) დაწესებულებისთვის არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) დაწესებულებისთვის მინიჭებული არაფორმალური განათლების აღიარების უფლების გაუქმების შესახებ.

2. დაწესებულებას არაფორმალური განათლების აღიარების უფლება ენიჭება პროგრამის განხორციელების უფლების ვადით.

3. ცენტრი უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილებების ასახვას ელექტრონულ სისტემაში და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას.

4. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაუუქმდება არაფორმალური განათლების აღიარების უფლება, იგი აღარ არის უფლებამოსილი, ცენტრს აღნიშნული უფლების მოპოვების მიზნით მიმართოს უფლების გაუქმებიდან 1 წლის განმავლობაში.

**მუხლი 8. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების განხორციელების თავისებურებები**

1. დაწესებულება აღარ არის უფლებამოსილი, განახორციელოს არაფორმალური განათლების აღიარება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მან დაკარგა.



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

2. დაწესებულება ვალდებულია, არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების მიზნით, ცენტრს მიმართოს განმეორებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, ამ პროგრამების უწყვეტ რეჟიმში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელების მიუხედავად.

**მუხლი 9. მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი**

1. ცენტრი უფლებამოსილია, გეგმური/არაგეგმური მონიტორინგის გზით შეამოწმოს დაწესებულების მიერ ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მონიტორინგი განახორციელოს დაწესებულებიდან დოკუმენტაციის გამოთხოვის, ელექტრონული სისტემის შემოწმების ან/და ადგილზე ვიზიტის (მათ შორის, მაძიებლის სამუშაო ადგილზე, თუკი შეფასების პროცესი ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში) განხორციელების გზით. ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მონიტორინგის ჯგუფში შეიყვანოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი ან/და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის ექსპერტი. ცენტრი უფლებამოსილია, ექსპერტს/ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების გარეშე დაავალოს დოკუმენტაციის შესწავლა.

3. ელექტრონული სისტემის შემოწმების დროს გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, შექმნას მონიტორინგის ჯგუფი და დაწესებულებაში განახორციელოს ვიზიტი.

4. ცენტრი ვალდებულია, დაწესებულებას გააცნოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების შესახებ. დაწესებულება უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს ექსპერტთა აცილების უფლებით.

5. გამოთხოვილი დოკუმენტაციის ან/და განხორციელებული ვიზიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ ცენტრი/ექსპერტი უზრუნველყოფს დასკვნის მომზადებასა და დირექტორისთვის წარდგენას. შემოწმების შედეგად, თუ გამოვლინდა, რომ დაწესებულება არ შეესაბამება ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილ რომელიმე მოთხოვნას, დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრება არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

6. ადმინისტრაციული წარმოება მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის შესახებ უნდა დასრულდეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში. ვადის დინება შეჩერებულად ითვლება ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის განმავლობაში.



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**მუხლი 10. გარდამავალი დებულებები**

1. ამ წესით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებასთან, ელექტრონული სისტემის შექმნამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2020 წლის 1 ივლისისა, წარიმართება მატერიალური სახით, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2. ელექტრონული სისტემის შექმნამდე, ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის ფორმა დამტკიცდეს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ელექტრონული სისტემის შექმნამდე, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპი, რაც გულისხმობს მიღებული გადაწყვეტილების ელექტრონულ სისტემაში ასახვას, განხორციელდეს ცენტრის მიერ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის გადაწყვეტილების მიწოდების გზით.

4. დაწესებულება ვალდებულია, ელექტრონული სისტემის შექმნამდე უზრუნველყოს მაძიებლის არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შენახვა და ელექტრონული სისტემის შექმნის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მათი ასახვა.

**დანართი №2**

**არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასური**

**მუხლი 1. საფასურის ოდენობა**

1. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასური შეადგენს 500 ლარს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფასურის ოდენობა მოიცავს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებულ ხარჯებს.

**მუხლი 2. საფასურის გადახდის წესი**

ამ დანართით გათვალისწინებული საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის ცენტრის შესაბამის სახაზინო კოდზე ჩარიცხვის გზით.



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №462

2019 წლის 20 სექტემბერი, ქ. თბილისი

## „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ, №94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23. დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა, ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა (გარდა მდინარე რიონის ძირითადი კალაპოტისა და მისი შენაკადებისა) ჭალა-კალაპოტებიდან და ჭალისზედა პირველი ტერასებიდან, შავი ზღვის შესართავიდან 20 კილომეტრის მანძილზე პირდაპირი ხაზით. მითითებულ დიაპაზონში ინერტული მასალის მოპოვება ნებადართულია ამ დებულების $7^4$ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ მოპოვება წარმოებს ჭარბი აკუმულაციის უბნებიდან შავი ზღვის ნაპირების (პლაჟების) აღდგენის მიზნით. მოპოვება დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ საზღვრებში ინერტული მასალა დასაწყობებულია (ტექნოგენური დანაგროვი) ჰიდროელექტროსადგურებისთვის სამშენებლო/საექსპლოატაციო სამუშაოების შედეგად.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**გიორგი გახარია**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №467

2019 წლის 26 სექტემბერი, ქ. თბილისი

## „დავის განმხილველი ორგანოების რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის №473 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დავის განმხილველი ორგანოების რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის №473 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/12/2011, 200230110.10.003.016633) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „დავის განმხილველი ორგანოების რეგლამენტის“ მე-18 მუხლის:

1. **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. თუ საქმის შესწავლისას აპარატი გამოავლენს, რომ დავის განმხილველი ორგანოსათვის საჩივრის გადასაწყვეტად საჭიროა ისეთი ინფორმაციის ან მტკიცებულებების გაცნობა, რომელიც საქმეში არ მოიპოვება, ის უფლებამოსილია, მომჩივნისა და მოპასუხე ორგანოსაგან წერილობით გამოითხოვოს იგი, რა დროსაც ჩერდება საჩივრის განხილვა.“.

2. **მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი**:

„3. აპარატი უფლებამოსილია, სამსახურებრივი საჭიროებისთვის:

ა) ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) განმარტების/დასკვნის მისაღებად მიმართოს ექსპერტს, სპეციალისტს, სამეცნიერო დაწესებულებას ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებას.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი**

**გიორგი გახარია**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №472

2019 წლის 27 სექტემბერი, ქ. თბილისი

## „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, III, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების**:

ა) **მუხლი $1^2$ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** $1^2$. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში საგადასახადო ან საბაჟო დავაზე მიღებული გადაწყვეტილების, ასევე გადასახადის გადამხდელის (მოვალის) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა ხორციელდება საფასურის გარეშე.“;

ბ) $1^4$ **მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-13 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენამდე ან ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე.“;

გ) $1^5$ **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** $1^5$. თუ პირის მიერ მოთხოვნილია საფოსტო გზავნილის გაფორმება, იგი უფლებამოსილია, მომსახურების საფასური გადაიხადოს საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ის რეგისტრაციიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.“;



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**დ) $1^7$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი** $1^7$. სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 54-ე, 68-ე, $68^1$, 75-ე, 82-ე, $82^1$, $82^2$ და 87-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

ა) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ბ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით;

გ) უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;

დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე) ეროვნული და უცხოური ვალუტისა (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება;

ვ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანზიტი;

ზ) საქონლის ექსპორტი და გარე გადამუშავება;

თ) საქონლის დაბრუნება, საქართველოს საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი – მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ი) იმ საქონლის დროებით შემოტანა, რომელიც სრულად გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისაგან;

კ) ფიზიკური პირის მიერ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაცხადებული 3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმება სახმელეთო საზღვარზე განთავსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში – საბაჟო დეკლარაციით ან გაფორმების ეკონომიკურ ზონაში – „ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციით“;

ლ) საფოსტო გზავნილით შემოტანილი, 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის გაფორმება;

მ) საბაჟო საწყობის პროცედურაში საქონლის გაფორმება;



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ნ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ$^3$-ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელისა და ნახევრად მისაბმელის რეექსპორტი;

ო) ამ მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულის გარდა სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია დროებით შემოტანის პროცედურის შემდეგ რეექსპორტი;

პ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, გათავისუფლებულია გადასახად(ებ)ისაგან.“;

ე) 1$^{10}$ **მუხლის**:

**ე.ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. №11-ში მდებარე გაფორმების ადგილზე „ბათუმის“ გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ის ან კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებისას.“;

**ე.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. ამ დადგენილების მიზნებისთვის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში არასამუშაო დროა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 18 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდი, შაბათს – 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები.“;

**ე.გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგის შინაარსის მე-5 პუნქტი**:

„5. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-60 –64-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურება არ გაიწევა, ხოლო 54-ე, 68-ე, 68$^1$, 82$^1$, 82$^2$, 86-ე, 87-ე და 103-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსება არ განხორციელდება შაბათს 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდსა და უქმე დღეებში.“;



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ვ) $1^{14}$ **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** $1^{14}$. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-100 გრაფით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან პირი თავისუფლდება მის მიერ შემოტანილ საქონელზე საქართველოს საბაჟო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განკარგვის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში.“;

ზ) $1^{16}$ **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** $1^{17}$ **და** $1^{18}$ **მუხლები**:

„**მუხლი** $1^{17}$

1. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 122-ე – 125-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის:

ა) შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართად და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენად (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) მიიჩნევა ლითონის მეორადი ნედლეული, რომელიც განკუთვნილია საწარმოო გადამუშავებისათვის და რომელიც წარმოიშობა ლითონის წარმოების ან მექანიკური დამუშავების პროცესში, ასევე ლითონის ის ნაკეთობები, რომლებიც გამოუსადეგარია იმ დანიშნულებით გამოსაყენებლად, რისთვისაც ისინი შეიქმნა გატეხვის, გაცვეთის (მათ შორის, მორალური), მექანიკური, ქიმიური დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო.

**შენიშვნა**: ამ ქვეპუნქტით წარმოდგენილი შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისა და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) განმარტება არ მოიცავს შავი ლითონის სხმულებს, ზოდებს, ნაგლინს, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს, რომლებიც კლასიფიცირდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7102, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებსა და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში;

ბ) შავი ლითონის წარმოების ნარჩენად მიიჩნევა ლითონის მაღალი (20%-იანი და მეტი) შემცველობის მქონე ნარჩენი;

გ) ფერადი ლითონის დაუმუშავებელ შენადნობად მიიჩნევა ფერადი ლითონი ან/და ფერადი ლითონების შენადნობი წარმოდგენილი შოთების, ზოდების, ლუგვების, ბრიკეტების ან სხვა პირველად ფორმებში.



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**მუხლი 1**[18]. ამ დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისას მომსახურების საფასურების გადახდა ხორციელდება „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის ცხრანიშნა სახაზინო კოდებზე.“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:**

**ა) მე-13 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „13 | სეს ესწ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ$^3$-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელისა და ნახევრად მისაბმელის გაფორმების მიზნით, საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება საბაჟო საწყობში დროებით დასაწყობების გარეშე | | ყოველ კალენდარულ დღეზე 5 ლარი“; |

**ბ) 45-ე და 46-ე გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

| | | | |
|---|---|---|---|
| „45 | განხორციელებული საბაჟო პროცედურის/ რეექსპორტის შესახებ ინფორმაციის გაცემა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის მიღება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საქონლის დეკლარირებისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობისთვის) | 10 სამუშაო დღე<br>3 სამუშაო დღე<br>1 სამუშაო დღე | უფასო<br>20 ლარი<br>50 ლარი |
| 46 | მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ში თავდაპირველად დაშვება | | 200 ლარი“; |



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

გ) 54-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| „54 | საქონლის გაფორმება (გარდა 68-ე, $68^1$, 75-ე, 82-ე, $82^1$, $82^2$, 86-ე, 87-ე, 103-ე და 122-ე – 125-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) | | 3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 100 ლარი;<br><br>3 000-დან 15 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 300 ლარი;<br><br>15 000 ლარის ზევით საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 400 ლარი“; |

დ) 68-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| „68 | „თბილისის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის), „ბათუმის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში<br><br>(ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. №11-ში მდებარე გაფორმების ადგილზე), „ფოთის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საბაჟო გამშვები პუნქტის „ფოთისა და ყულევის პორტებსა და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“, საბაჟო გამშვები პუნქტის „ბათუმის პორტში“ ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებში საბაჟო დეკლარაციით – ფორმა 4-ით გაცხადებული 3000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმება | | ერთ საბაჟო დეკლარაციაზე – 20 ლარი“; |

ე) 82-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

| | | | |
|---|---|---|---|
| „82 | საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთამდე პირის მიერ „eCustoms-ის“ მეშვეობით რეგისტრირებული, საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმება (გარდა 68-ე, 68[1] და 75-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) | | 3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 100 ლარი;<br><br>3 000-დან 15 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 200 ლარი;<br><br>15 000 ლარის ზევით საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 300 ლარი“; |

ვ) 86-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| „86 | რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით დეკლარირებული საქონლის გაფორმება | | 50 ლარი“; |

ზ) 103-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| „103 | ნამუშევარი ნავთობპროდუქტების (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ნავთობპროდუქტების ბაკსაცავების ნარეცხი) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევა | | 1 ტონა – 30 ლარი“; |

თ) 121-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 122-ე – 125-ე გრაფები:

| | | | |
|---|---|---|---|
| „122 | შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისა და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (შავი ლითონის წარმოების ნარჩენის, ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობისა და შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის გარდა) ექსპორტი | | 1 ტონა – 160 ლარი |
| 123 | შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტი | | 1 ტონა – 40 ლარი |
| 124 | ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტი | | 1 ტონა – 50 ლარი |
| 125 | შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის ექსპორტი | | 1 ტონა –10 ლარი.“. |



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**მუხლი** 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ“ და „ე.გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ“ და „ე.გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2019 წლის 15 ოქტომბრიდან.

**პრემიერ - მინისტრი**

**გიორგი გახარია**

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №276

2019 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 359 სსიპ – „ქართული ლიტერატურის ეროვნული ფონდის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

| | | |
|---|---|---|
| 360 | 0972 | ს(ა)იპ – „ათასწლეულის ფონდი“ |

**მუხლი** 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №277

2019 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი

### „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ე$^{1}$“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე$^{1}$) კომპეტენციის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების მიზნით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ამ ღონისძიებათა განხორციელება;“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №278

2019 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი

**„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ივლისის №221 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ივლისის №221 ბრძანებაში (ვებგვერდი, 17/07/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016776) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 1

„დამტკიცდეს „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას კონტროლის განხორციელების წესი“.

2. ბრძანებით დამტკიცებული:



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ა) „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის“ სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას კონტროლის განხორციელების წესი“;

ბ) „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის“:

ბ.ა) პირველი მუხლის:

ბ.ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ,,სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას კონტროლის განხორციელების წესი“ (შემდგომში – წესი) ვრცელდება სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი იმ ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული პროდუქტების იმპორტზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს გენმოდიფიცირებულს“;

ბ.ა.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს ,,სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობები.“;

ბ.ა.გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის (შემდგომში – გენმოდიფიცირებული ორგანიზმები და პროდუქტი) კონტროლს იმპორტის გამოყენებისას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).“;

ბ.ბ) მე-2 მუხლის:

ბ.ბ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„მუხლი 2. გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და პროდუქტის კონტროლი“;

ბ.ბ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. როდესაც საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციას, რომ სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი ორგანიზმი ან მისგან წარმოებული პროდუქტი წარმოადგენს გენმოდიფიცირებულს, ხორციელდება ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება (გარდა ამ მუხლის 4[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), რომლის სიხშირე განისაზღვრება eCustoms-ის მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემის გამოყენებით.“;

ბ.ბ.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. eCustoms-ის მეშვეობით გამოსაყენებელი რისკის პროფილების შემუშავების მიზნით, ნუსხა სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული პროდუქტებისა, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს გენმოდიფიცირებულს, განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით.“;

ბ.გ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების და პროდუქტის განადგურება ხორციელდება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის**

**ბრძანება №189/ნ**

2019 წლის 6 სექტემბერი, ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების/განხორციელებული საქმიანობის საფასურის დამტკიცების შესახებ**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[8]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების/განხორციელებული საქმიანობის საფასური ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების,**

**მეცნიერების, კულტურისა და**

**სპორტის მინისტრის მოვალეობის**

**შემსრულებელი**

**მიხეილ ბატიაშვილი**

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

დანართ

| ტრენინგის დასახელება | მომსახურება / საქმიანობა | ღირებულება |
|---|---|---|
| 1. ზოგადი კურსი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკისი მასწავლებლებისთვის; | | |
| 2. სწავლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ; | | |
| 3. Google Earth (გუგლ დედამიწის) გამოყენებით სასწავლო რესურსის შექმნა; | | |
| 4. Edmodo – ვირტუალური საკლასო ოთახი; | | |
| 5. მოკლე კურსი პრაქტიკისი მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ბუნებისმეტყველებაში; | | |
| 6. მოკლე კურსი პრაქტიკისი მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში; | | |
| 7. მოკლე კურსი პრაქტიკისი მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში; | | |
| 8. მოკლე კურსი პრაქტიკისი მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ფრანგულ ენაში; | | |
| 9. მოკლე კურსი  პრაქტიკისი მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის რუსულ ენაში; | | |
| 10. მოკლე კურსი პრაქტიკისი მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის გერმანულ ენაში; | | |
| 11. მოკლე კურსი პრაქტიკისი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის დაწყებითი საფეხურის ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-IV და V –VI კლასი); | | |

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| 12. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში; | | |
| 13. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის სამოქალაქო განათლების; | ტრენინგი | |
| 14. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ქიმიაში; | (1 საათი 1 მსმენელზე) | 10 (ათი) ლარი |
| 15. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ისტორიაში; | | |
| 16. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის პროფესიულ უნარებში; | | |
| 17. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის გეოგრაფიაში; | | |
| 18. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ბიოლოგიაში; | | |
| 19. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ინგლისურ ენაში; | | |
| 20. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის დაწყებითი საფეხურის მათემატიკაში (I-IV და V –VI კლასი); | | |
| 21. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკაში (VII – XI კლასი) ; | | |
| 22. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის ფიზიკაში; | | |
| 23. მოკლე კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მასწავლებლობის მაძიებელთათვის მუსიკაში; | | |
| 24. სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების კურსი; | | |
| 25. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი; | | |
| 26. სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა. | | |

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის**

## ბრძანება №01-62/ნ

2019 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი

**„სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 12 აპრილის №92/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 12 აპრილის №92/ნ ბრძანებაში (სსმ III, №41-42, 16/04/2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანების $1^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$1^1$. სამედიცინო წარმოებისას გამოსაყენებელი სამედიცინო კლასიფიკატორები (სკანდინავიური ქვეყნების ქირურგიული პროცედურების კლასიფიკატორის (NCSP), ლაბორატორიული ჩარევების კლასიფიკატორი, ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია (ICD-10)) ხელმისაწვდომია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: classifications.moh.gov.ge.“.

3. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი (პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორის ICPC-2-R გამოსაყენებელი წესი) ამოღებულ იქნეს.

**მუხლი** 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,**

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი**

**ეკატერინე ტიკარაძე**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

# ბრძანება №1-1/468

2019 წლის 28 სექტემბერი, ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის №1-1/217 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის №1-1/217 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 29/05/2017, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.024.016489) დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ნ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ნ) სააგენტოს სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად პროგრამების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება.“.

2. **დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ვ) ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების დეპარტამენტი;“.

3. **დებულების მე-5 მუხლს დაემატოს მე-5[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5[1]. **ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციებია**:

ა) სააგენტოს ყველა პროგრამისთვის შესაბამისი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, აღნიშნული სისტემის პერიოდული განახლება;

ბ) სააგენტოს ყველა პროგრამის მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა;



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

გ) სააგენტოს პროგრამების შედეგების საზომი მაჩვენებლების შემუშავება და აღნიშნული მაჩვენებლების მეშვეობით პროგრამების შედეგების პერიოდული გაზომვა შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის სრულყოფისათვის განსახორციელებელი ცვლილების ინიცირება;

დ) სააგენტოს დეპარტამენტების სამუშაოს გაზომვადი მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება და პერიოდული განახლება;

ე) სამეწარმეო, საექსპორტო და საინვესტიციო სფეროსთან დაკავშირებული საჭირო ანალიტიკური კვლევების იდენტიფიცირება და განხორციელება;

ვ) სააგენტოს ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში განცხადებების, საჩივრების, წერილების განხილვა/მომზადება ან/და განხილვაში/მომზადებაში მონაწილეობა;

თ) სააგენტოს პროგრამების დაგეგმვასა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობა.“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ეკონომიკისა და**

**მდგრადი განვითარების მინისტრი**

**ნათელა თურნავა**

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის**

**ბრძანება №199/ნ**

2019 წლის 20 სექტემბერი, ქ. თბილისი

**„მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 21/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.017797,) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“:

1. **პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. წინამდებარე წესი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც სურთ დასაქმდნენ სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე. მათ შორის მოწვეულ ან/და შემცვლელ მასწავლებლებზე (გარდა, ამ წესით განსაზღვრული კონკურსის პირობებისა). ასევე, იმ მასწავლებლებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით წყვეტენ საქმიანობას სკოლაში.“.

2. **მე-2 მუხლის**:

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. პირი მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე.“.

**ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. სკოლას უფლება აქვს ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარმოდგენა მოსთხოვოს, როგორც მასწავლებლობის მსურველ კანდიდატს (შემდგომში – კანდიდატი), ასევე პირს, რომელიც სკოლაში უნდა დასაქმდეს მოწვეულ ან/და შემცვლელ მასწავლებლად.“.

3. **მე-3 მუხლის**:



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ა) მე-2 – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სკოლაში საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთანავე, საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ანდა სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

3. სკოლაში სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთანავე, სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი სამხედრო განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

4. დაწყებითი საფეხურის მულტილინგვური განათლების მასწავლებლობის ან/და საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მულტილინგვური განათლების მასწავლებლობის კადიდატებმა უნდა იცოდნენ ორი ენა, რომელთაგან ერთი აუცილებლად ქართული ენა უნდა იყოს. ამასთანავე, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ამ მუხლის პირველი პუნქტის ერთ-ერთი ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას.“.

ბ) მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. მოწვეულ მასწავლებლობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

6. შემცვლელ მასწავლებლობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და უნდა აკმაყოფილებდეს მოწვეული მასწავლებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს.“.

5. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

„1. შიდა და ღია კონკურსი ცხადდება სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში.“;

**ბ) მე-12 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„12. განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვრება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.“.“

13. დირექტორი მოწვეულ ან/და შემცვლელ მასწავლებლებს სკოლაში ასაქმებს კონკურსის გარეშე.“.

**6. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 13. გამონაკლისი ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით**

1. 2023 წლის ბოლომდე, მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლება აქვს აგრეთვე ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც:

ა) მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

ბ) მასწავლებლად მუშაობის დაწყებამდე ჩააბარა საგნის გამოცდა და გაიარა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირი სკოლაში საქმდება მასწავლებლად, როგორც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირი.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების,**

**კულტურისა და სპორტის მინისტრი**

**მიხეილ ბატიაშვილი**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# instruqcia

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №289

2019 წლის 25 სექტემბერი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1.**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:**

1. **დანართი №II-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია“):**

ა) ნაწილი III ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) „დეკლარაციის დანართი „გ“-ის შემდეგ დაემატოს „დეკლარაციის დანართი „დ“ თანდართული რედაქციით.

2. 38-ე **მუხლის**:

ა) **მე-6 პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ჭ) 57-ე უჯრაში – სულ საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი (39-ე და 56-ე უჯრებში და „დეკლარაციის დანართი „დ“- ს მე-6 სვეტში ასახული თანხების ჯამი);“;



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

**ბ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10-მე-12 პუნქტები:**

„10. დეკლარაციის დანართ „დ“-ს ავსებს საგადასახადო აგენტი (დამქირავებელი), რომლის საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში (მათ შორის, ლიზინგით, იჯარით და ა.შ.) არსებული ავტომობილი (გარდა ელექტრომძრავიანი ავტომობილისა) შესაბამის საანგარიშო პერიოდში დაქირავებულის მიერ გამოიყენება პირადი სარგებლობისათვის.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისთვის:

ა) ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებად ითვლება, თუ შრომითი ხელშეკრულებით, წესდებით ან სხვა დოკუმენტით დაქირავებული უფლებამოსილია ავტომობილი გამოიყენოს პირადი (არასამსახურებრივი) მიზნებისათვის;

ბ) ავტომობილი არის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილი.

12. დეკლარაციის დანართ „დ“-ში აისახება იმ ავტომობილის შესახებ ინფორმაცია, რომლის პირადი სარგებლობისათვის გამოყენებით მიღებული სარგებელიც ექვემდებარება დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადით.“.

**3. $39^3$ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $39^4$ მუხლი:**

**„მუხლი $39^4$. დაქირავებულის მიერ პირადი სარგებლობისათვის გამოყენებული დამქირავებლის ავტომობილის აღრიცხვისა და საგადასახადო ორგანოსათვის ასეთი ავტომობილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი**

1. დაქირავებულის მიერ ამ ინსტრუქციის შესაბამისად პირადი სარგებლობისათვის გამოყენებული დამქირავებლის ავტომობილის (ამ მუხლის მიზნებისათვის, შემდგომში – ავტომობილი) შესახებ ინფორმაციას დამქირავებელი, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, წარუდგენს საგადასახადო ორგანოს ამ ინსტრუქციის დანართი №II-06-ის ფორმით.

2. თუ დაქირავებული ავტომობილს იყენებს პირადი სარგებლობისათვის, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება სრულად, შესაბამის საანგარიშო პერიოდში პირადი სარგებლობისათვის გამოყენების დღეთა რაოდენობის მიუხედავად.

3. თუ ორ ან მეტ ავტომობილს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

ა) ერთდროულად იყენებს პირადი სარგებლობისათვის დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეული ავტომობილის მიხედვით;



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ბ) დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყენებს პირადი სარგებლობისათვის დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება იმ ავტომობილის მიხედვით, რომელსაც დაქირავებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უფრო მეტი დღის განმავლობაში იყენებს, ხოლო საანგარიშო პერიოდში პირადი სარგებლობისათვის გამოყენების დღეთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში - იმ ავტომობილის მიხედვით, რომლის ძრავის მოცულობაც უმაღლესია.

4. თუ ერთსა და იმავე ავტომობილს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

ა) ერთდროულად იყენებს პირადი სარგებლობისათვის 2 ან მეტი დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეულ დაქირავებულ პირთან მიმართებაში;

ბ) დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყენებს პირადი სარგებლობისათვის 2 ან მეტი დაქირავებული, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე – თითოეულ დაქირავებულ პირთან მიმართებაში.

**მაგალითი** 1.

შპს X-სა და გიორგის შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, გიორგი უფლებამოსილია, შპს X-ის კუთვნილი ავტომობილი, რომლის ძრავის მოცულობა შეადგენდა 1800 სმ$^3$-ს, სამსახურებრივი საჭიროების გარდა, გამოიყენოს ასევე პირადი სარგებლობისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, გიორგი უფლებამოსილია, შპს X-ის კუთვნილი ავტომობილი, სამსახურებრივი საჭიროების გარდა, გამოიყენოს ასევე პირადი სარგებლობისათვის, ითვლება, რომ გიორგი იყენებს ავტომობილს პირადი სარგებლობისათვის.

შესაბამისად, შპს X-ის მიერ გიორგის შესაბამის საანგარიშო პერიოდში დაუკავდება საშემოსავლო გადასახადი 100 ლარის ოდენობით.

**მუხლი** 2.

**ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.**

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

ნაწილი III

| განაცემის დასახელება | | | (თანხა) |
|---|---|---|---|
| დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი, ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება. მათ შორის: | | 16 | |
| ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით) | | 17 | |
| რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის გადახდილი როიალტი | | 18 | |
| ფიზიკურ პირებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტებისა): | რომელიც იბეგრება 20%-ით | 19 | |
| | რომელიც იბეგრება 5%-ით | 20 | |
| ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ სსკ-ის 1333 მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით | | 20[1] | |
| არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაბრებზე გაცემული პროცენტებისა) | | 21 | |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები, მათ შორის: | | 22 | |
| ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით) | | 23 | |
| ფიზიკურ პირებზე გაცემული პროცენტები, მათ შორის: | | 24 | |
| ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით) | | 25 | |
| ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი წილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება | | 26 | |
| მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (გარდა პროცენტებისა და დივიდენდებისა), მათ შორის: | | 27 | |



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის: | პირველ ი ნაწილის: | „ბ[1]" ქვეპუნქტით (განაკვეთი 5 %) | 28 | |
| | | „გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %) | 29 | |
| | | „დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%) | 30 | |
| | | „ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%) | 31 | |
| | 1[1] ნაწილით (განაკვეთი 15%) | | 32 | |
| მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (შეღავათების გამოკლებით), რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის: | | | 33 | |
| საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134- ე მუხლის: | პირველ ი ნაწილის: | „ბ[1]" ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%) | 34 | |
| | | „გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %) | 35 | |
| | | „დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4 %) | 36 | |
| | | „ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10 %) | 37 | |
| | 1[1] ნაწილით (განაკვეთი 15%) | | 38 | |



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (მე-17-მე-20, 20[1], 21-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე, 34-ე-38-ე უკრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე წამრავლის ჯამი) | | | 39 | |
| ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები, მათ შორის: | | | 40 | |
| ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134- ე მუხლის: | პირველ ი წანილის: | „ბ[1]" ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%) | 41 | |
| | | „გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%) | 42 | |
| | | „დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%) | 43 | |
| | | „ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%) | 44 | |
| | 1[1] წანილით (განაკვეთი 15%) | | 45 | |

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%) | | | 46 | |
| გ) პროცენტები (განაკვეთი 5%) | | | 47 | |
| ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (შელავათების გამოკლებით), მათ შორის: | | | 48 | |
| ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134- ე მუხლის: | პირველ ი წაწილის: | „ბ[1]" ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%) | 49 | |
| | | „გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%) | 50 | |
| | | „დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%) | 51 | |
| | | „ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%) | 52 | |
| | 1[1] წაწილით (განაკვეთი 15%) | | 53 | |
| ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%) | | | 54 | |
| გ) პროცენტები (განაკვეთი 5%) | | | 55 | |



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| გადახდის წყაროსთან ორგანიზაციებისათვის და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმოებისათვის დაკავებული ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადი (49-ე-55-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი) | 56 | |
| სულ ბიუჯეტში გადასახდელ წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი (39-ე და 56-ე უჯრებში და დეკლარაციის დანართი „დ"-ს მე-6 სვეტში ასახული თანხების ჯამი) მათ შორის: | 57 | |
| აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი | $57^1$ | |
| აფხაზეთის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი | $57^2$ | |
| ინფორმაციისათვის | | |
| მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულება | 58 | |
| სამეურნეო ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი | 59 | |
| საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ოდენობა | 60 | |
| ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაცემულია მე-16 უჯრაში ასახული თანხა | 61 | |
| არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების აზაზღაურებას და არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას | 62 | |
| წაღდი აწგარიშსწორებით განხორციელებული ბრუნვა. მათ შორის: | 63 | |
| საკონტროლო-სალარო აპარატების საშუალებით | 64 | |
| მაქსიმალური ხელფასი | 65 | |
| მინიმალური ხელფასი | 66 | |
| წაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის | 67 | |
| საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა | 68 | |
| პირთა რაოდენობა, რომელზეც გაცემულია 68-ე უჯრაში ასახული თანხა | 69 | |



PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

დეკლარაციის დანართი „დ“

ინფორმაცია

დაქირავებულის მიერ დამქირავებლის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოყენების შესახებ

| № | ავტომობილის მონაცემები | | დაქირავებული პირის მონაცემები | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) | ძრავის მოცულობა | გვარი, სახელი | პირადი ნომერი | გადასახადის ოდენობა (ლარი) |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |
| სულ | | | | | |

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# გამოიწერეთ

# გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო ინსპექტორების, აუდიტორების, ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com

# დიზაინი პოლიგრაფია




PDF создан с пробной версией pdfFactory Pro pdffactory.com